ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 67 / 18
(დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები)

ქ. თბილისი 19 ივნისი, 2018 წელი

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს მელიორაცია"** (მის: ქ. თბილისი, გულუას ქ. N6), წარმოდგენილი - მისი გენერალური დირექტორის არჩილ ბუკიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, **შპს „ნეოტექი"** (იურიდიული მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა, N4) წარმოდგენილი - მისი დირექტორის იგორ ფარჯიანის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას **შენობის მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების** გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვაზე, შემდეგ თანხაზე - **1'354.15 (ათას სამას ორმოცდათოთხმეტი ლარი და 15 თეთრი) ლარი**, შემდგომში ("ხელშეკრულების ღირებულება").

1. ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში „შემსყიდველი") - ორგანიზაცია, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.

1.2. „მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

1.3. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული დოკუმენტით - **მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1)**.

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. „მომსახურება" - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

1.6. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ **შენობის მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების** (შემდგომში „მომსახურება") სახელმწიფო შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 50700000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1'354.15 (ათას სამას ორმოცდათოთხმეტი ლარი და 15 თეთრი) ლარს**.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს **14 (თოთხმეტი)** სამუშაო დღის ვადაში.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილია - ქ. თბილისი, გულუას ქ. N6.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს **საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი ელდარ გვიანიძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი** (შემდგომში „ინსპექტირების განმახორციელებელი პირი").

5.3 ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ფუნქციებია:

5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადისა და ხარისხის დაცვას;

5.3.2 დაადგინოს გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

5.3.3 გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

6. მომსახურების საგარანტიო პირობები და ვადები

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება დროული, ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

6.2 გაწეულ მომსახურებაზე (მათ შორის მომსახურებისთვის საჭირო საქონელზე) ვრცელდება გარანტია მომსახურების გაწევის შესახებ შედგენილი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების თარიღიდან **12 (თორმეტი)** თვის განმავლობაში.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „საქართველოს მელიორაცია"	შპს „ნეოტექი"
არჩილ ბუკია გენერალური დირექტორი	იგორ ფარჯიანი დირექტორი

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7.3 მიღება-ჩაბარების აქტი დგება მომსახურების (ან მისი ნაწილის) გაწევის დასრულების შემდეგ.

7.4 მომსახურების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დღგ-ს არგადამხდელის შესახებ) წარდგენის საფუძველზე, 10 (ათი) სამუშაო დღეში.

8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 12.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

8.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

9. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა სრული დაცვით.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

9.2.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9.2.2 მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

9.3 შემსყიდველი ვალდებულია:

9.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურება;

9.3.2 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

9.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

9.4.2 ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

9.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.5.1 მომსახურების გაწევა განახორციელოს ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად;

9.5.2 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე, დაუყოვნებლივ განახორციელოს ქმედებები აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;

9.5.3 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;

9.5.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

11.1.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

11.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „საქართველოს მელიორაცია"	შპს „ნეოტექი"
არჩილ ბუკია	იგორ ფარჯიანი
გენერალური დირექტორი	დირექტორი

11.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

11.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

11.2.2 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

11.2.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.

11.2.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2 შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.3 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: მომსახურების გაწევის ვადებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გრაფიკით გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.4 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

12.4.1 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით;

12.4.2 ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 12.4.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს;

12.4.3 ხელშეკრულების 12.4.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.5 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „საქართველოს მელიორაცია“	შპს „ნეოტექი“
არჩილ ბუკია	იგორ ფარჯიანი
გენერალური დირექტორი	დირექტორი

ქ. თბილისი 19 ივნისი, 2018 წელი

14. დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2 თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას მკაცრად დაიცვას მეორე მხარისაგან მიღებული კომერციული და სხვა სახის ინფორმაციის კონფიდენციალობა. ასეთი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირისთვის დაიშვება მხარეთა თანხმობით, აგრეთვე, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

15.3 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 აგვისტოს** ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
შპს „საქართველოს მელიორაცია“
მის: ქ. თბილისი, გულუას ქ. N6
ტელ: (995 32) 2 480100.
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE42TB7484736020100003; ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568

„მიმწოდებელი“
შპს „ნეოტექი“
მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა, N4
ტელ: (995 599) 936 762.
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE56TB1126236020100001; ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 206201698

„შემსყიდველი“
შპს „საქართველოს მელიორაცია“

_____
არჩილ ბუკია
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „ნეოტექი“

_____
იგორ ფაფუჩიანი
დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 67 / 18
(დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები)

ქ. თბილისი 19 ივნისი, 2018 წელი

დანართი N1

N	ERP კოდი	დასახელება	მახასიათებლები	მწარმოებელი ფირმა და მოდელი	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	3020803	Wife როუტერი	4 10/100/1000Mbps LAN Ports 1 10/100/1000Mbps WAN Port 2 USB 2.0 Ports . WPS/Reset Button Wireless On/Off Switch Power On/Off Button . სტანდარტები : IEEE 802.11ac/n/a 5GHz IEEE 802.11b/g/n 2.4GHz. ფუნქციები: Enable/Disable Wireless Radio, WDS Bridge, WMM, Wireless Statistics. უსაფრთხოება: 64/128-bit WEP,WPA / WPA2,WPA-PSK/ WPA2-PSK encryption.	Arcer C7,TP-Link, AC1750 Wireless dual band gigabit router	ცალი	1	268.15	268.15
2	3130052	საკაბელო არხი 25*25	კაბელ არხი 25X25 მმ ზომის	კაბელ არხი 25X25 მმ ზომის	მ	50	1.33	66.50
3	3020308	15მ სიგრძის HDMI კაბელი	15M,1.4V HDMI Cable , 28 AWG, AL+braiding shield, copper, GOLD Plated, PVC, პინების - რაოდენობა 19; სიგრძე 15 მ.	Kindga, HMAA8001-15M	ცალი	2	50	100.00
4	3020022	8 პორტიანი პოე სვიჩი	Interface - 8 10/100Mbps RJ45 Ports AUTO Negotiation/AUTO MDI/MDIX. * Power Consumption Maximum (PoE on): 60.2W (220V/50Hz) Maximum (PoE off): 3.2W (220V/50Hz) PoE Ports (RJ45) Standard: 802.3 af compliant PoE Ports: Port1- Port4 Power Supply: 57W * Backbound Bandwidth 1.6Gbps	TP-Linc, TL-SF 1008 P	ცალი	1	154	154.00
5	3020312	ქსელის კაბელი cat 5	ქსელის კაბელი UTP CAT5e 4x2x24AWG	Elan UTP CAT5e	მ	250	0,93	232.50
6	3020314	ჯეკი	ჯეკი CAT 5	RJ45	ცალი	50	0,16	8.00
7	4416732	ანკერი 10*50 მმ	ანკერი 10X50 მმ ზომის, ბეტონისათვის.	ანკერი 10X50 მმ ზომის, ბეტონისათვის	ცალი	20	1,75	35.00
8	4416733	სამარეზი გიფსო კარდონისათვის, 6 სმ	გიფსო კარდონის სამარეზი, 6 სმ სიგრძის.	გიფსო კარდონის სამარეზი, 6 სმ სიგრძის.	ცალი	50	0,14	7.00

„შემსყიდველი“
შპს „საქართველოს მელიორაცია“

არჩილ ბუკია
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი”
შპს „ნეოტექი”

იგორ ფაბჯანი
დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 67 / 18
(დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები)

ქ. თბილისი

19 ივნისი, 2018 წელი

9	516002	პროექტორის მონტაჟის მომსახურება	პროექტორები უნდა დამონტაჟდეს გიფსოკარდონის ჭერზე, პროექტორიდან კომპიუტერის განთავსების ადგილას (10 მ მოშორებით) უნდა დამაგრდეს კაბელ არხი და ჩაისვას HDMI კაბელი.		ცალი	2	171,50	343.00
10	516001	ტურნიკეტის მონტაჟის მომსახურება	ტურნიკეტი უნდა დამონტაჟდეს ბეტონის კედელზე, მის გვერდითვე უნდა შეიცვალოს მოაჯირის განლაგება, ჭერში სადაც უკვე მიყვანილი ქსელის კაბელი და არის დენი უნდა განთავსდეს პოე სვიჩი (მონტაჟის ადგილიდან 10 მ) და კაბელ კანალის საშუალებით მივიდეს დენი და ქსელის კაბელი ტურნიკეტის მოწყობილობამდე.		ცალი	1	140,00	140.00
							ჯამი:	**1354.15**

„შემსყიდველი“
შპს „საქართველოს მელიორაცია“

არჩილ ბუკია
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი”
შპს „ნეოტექი“

იგორ ფარჯიანი
დირექტორი

ვიზირებულია:

ფინანსური დირექტორი
დავით ტეტუნაშვილი

ადმინისტარციული დირექტორი
გენადი კერძევაძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ზურაბ მარაქველიძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
ზვიად ცაგარეიშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
ირაკლი ხორბალაძე

საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი
ლალი სულაბერიძე

მთავარი ბუღალტერი
მარიამ ჭურაძე

შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი
ლევან პაპაშვილი

ფასთა კვლევის, ხელშეკრულების შესრულების
ანგარიშგების სამსახურის უფროსი
თეიმურაზ ბექაური

სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი
ნინო ყანჩაველი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შესყიდვაში მონაწილე პირების ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის დადასტურება

გენერალური დირექტორი
არჩილ ბუკია

კონტროლის განმახორციელებელი პირი:
საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის
უფროსი
ელდარ გვიანიძე

შემსრულებელი
მამუკა სიხარულიძე